მუსიკის მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი და სერთიფიკატის დანართი. სერტიფიკატი გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიმართულების/საგნის/საგნობრივი ჯგუფისა და ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის ველში მიეთითება-მუსიკის დაწყებითი-საბაზო- საშუალო საფეხურის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.“ იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამაზე ჩარიცხული პირი მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას გაივლის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიის, კომპოზიციის ან ჯაზის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დიპლომსა და დიპლომის დანართში მიეთითება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის მუსიკის საგნის სწავლების უფლება. N.B. მუსიკოლოგიის, კომპოზიციის ან ჯაზის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული მოიპოვებს მასწავლებლად მუშაობის უფლებას მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების (საგნის გამოცდის ჩაბარების) შემდეგ.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით დამათი განაწილება	60 ECTS კრედიტი. აქედან: 1. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდული -30 ECTS კრედიტი 2. დარგობრივი სპეციალიზაციის მოდული -20 ECTS კრედიტი 3. პედაგოგიური პრაქტიკის მოდული -10 ECTS კრედიტი (იხ. დანართი N1 სასწავლო გეგმა)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლეილა მარუაშვილი.

მუსიკის მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	1. არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი სახელოვნებო პროფესიული განათლება; 2. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება, ხოლო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში – საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება; 3. შიდა შესარჩევი გამოცდა. (შიდა შესარჩევი გამოცდა გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგნის სწავლებისას გამოყენებული მეთოდების (რიტმის გრძნობის განვითარება, სიმღერის შესწავლა, იმპროვიზაციის ან კომპოზიციის უნარის განვითარებაზე მუშაობას და ა.შ.) თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემოწმებას, მითითებულ პრობლემატიკაზე მოდელირებული გაკვეთილის ჩატარების გზით).

მუსიკის მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის საგნის და სკოლის გარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების მომზადება. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებას. პროგრამა ამზადებს მასწავლებელს, რომელიც შეძლებს პროფესიული სტანდარტით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და უნიკალურობის გათვალისწინებით მათ პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასებისას ეფექტიანად გამოიყენებს მუსიკალური პედაგოგიკის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, დარგობრივ ცოდნას, ციფრულ ტექნოლოგიებს და შეძენილ პრაქტიკულ უნარებს; პროფესიული წინსვლის მიზნით დამოუკიდებლად განსაზღვრავს და დაგეგმავს სწავლის სამომავლო მიმართულებებს.

სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** **პოზიტიური სასწავლო გარემო** ● ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ასევე, მუსიკალურ–საგანმანათლებლო სისტემებზე და მუსიკის სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს; ● განმარტავს და განიხილავს კლასის მართვის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს; ● მსჯელობს, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა/მეურვეთა ჩართულობის, კოლეგებს შორის თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობაზე, ასახელებს სკოლაში და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა/მეურვეთა ჩართულობის, თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორებს; ● აცნობიერებს ტოლერანტული, მოტივაციის ამაღლებაზე მიმართული სასწავლო გარემოს შექმნაში ბავშვის უფლებებისა და მისი განვითარების სტანდარტების მნიშვნელობას. **სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება** განიხილავს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მუსიკის საგნის სწავლების სტანდარტს; მსჯელობს პროფესიულ საქმიანობაში მათი მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობებზე; ● მსჯელობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის თავისებურებებზე სწავლის უნივერსალური დიზაინის მიდგომების გათვალისწინებით; ● მსჯელობს საგანმანათლებლო რესურსების მოძიების, შერჩევის, შექმნის გზებზე და მათი მიზნობრივი გამოყენების მნიშვნელოვაზე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და მისაღწევი შედეგის გათვალისწინებით; ● მსჯელობს ფსიქოლოგიის საფუძვლების, პიროვნების განვითარების, ასაკობრივი და სამუსიკო ფსიქოლოგიის თვისებურებებზე და მათი გამოყენების მნიშვნელობაზე მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში; ● მსჯელობს მუსიკის სწავლების (დარგობრივი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების შესაბამისად) ტრადიციულ და უახლეს მეთოდებზე, მუსიკის ინტეგრირებული სწავლების ფორმებზე და მათი გამოყენების პერსპექტივებზე; ● განმარტავს შეფასების რუბრიკების შექმნის ძირითად პრინციპებს, ეფექტიანი განმავითარებელი და დასკვნითი შეფასების გამოყენების მნიშვნელობას თითოეული მოსწავლის პროგრესისა და სასწავლო პროცესის დახვეწისთვის; ● შეფასების ტიპებს, პრინციპებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს აკავშირებს სასწავლო მიზანთან. **პროფესიული განვითარება** ● აანალიზებს საკუთარი პროფესიული განვითარების მიმართულებებსა და ფორმებს;

- განიხილავს მუსიკის სწავლების სფეროში არსებული უახლეს საგანმანათლებლო ტენდენციებს და აცნობიერებს, როგორ გამოიყენებს მათ საკუთარ პრაქტიკაში.

უნარები

პოზიტიური სასწავლო გარემო

- ბავშვის უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით ქმნის ტოლერანტულ, თანაბრად ხელმისაწვდომ, უსაფრთხო, თავისუფალ, კომფორტულ, შემოქმედებით სასწავლო გარემოს თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციო-ემოციური, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ასპექტების გათვალისწინებით;
- ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით ზრდას, უწევს მათ პროფესიულ მხარდაჭერას, ზრუნავს მათი თვითრეგულირებადი ქცევის ჩამოყალიბებასა და პოზიტიური ურთიერთობების დამკვიდრებაზე;
- ახდენს კონფლიქტების პრევენციას, კონფლიქტების მოგვარებისას იყენებს ეფექტურ სტრატეგიებს;
- ავლენს მოსწავლეებთან, მშობლებთან/მეურვეებთან, კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარს.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, მუსიკის საგნობრივი პროგრამის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს; ითვალისწინებს მუსიკის საგნის როგორც მრავალმხრივი მიმართულებების და სხვა დისციპლინებთან ინტეგრაციის შესაძლებლობებს;
- სასწავლო პრაქტიკას მიზნობრივად უკავშირებს პიროვნების განვითარების თეორიებს, ასაკობრივი ფსიქოლოგიის თავისებურებებს, სამუსიკო განათლების სისტემებსა და თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიებს;
- მოიძიებს, ქმნის და მიზნობრივად იყენებს სასწავლო მიზნების შესაბამის დამხმარე რესურსებს ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით; რესურსების შერჩევისას ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ და სხვა თავისებურებებს;
- ავლენს მოსწავლეთა მუსიკალურ მონაცემებს, ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით ხელს უწყობს მათ განვითარებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას მათი ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, საჭიროებების შესაბამისად;
- მიზნობრივად იყენებს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, მუსიკის სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებსა და სისტემებს;
- ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მსწავლელად ჩამოყალიბებას;
- საგაკვეთილო პროცესისთვის არჩევს შესაბამის რეპერტუარს, მუშაობს მასზე სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში იყენებს დირიჟორობის უნარ-ჩვევებს; თანხლებას უწევს მოსწავლეებს სიმღერის დროს;

- გეგმავს და ახორციელებს კლასგარეშე აქტივობებს, შემოქმედებით/მუსიკალურ ღონისძიებებს მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
- შეიმუშავებს და იყენებს შეფასების ეფექტურ სქემებსა და რუბრიკებს მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, აანალიზებს მოსწავლეთა სწავლის შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები სასწავლო პროცესში.

პროფესიული განვითარება

- რეგულარულად ახდენს საკუთარი პრაქტიკის თანმიმდევრულ და კრიტიკულ ანალიზს, ახდენს საკუთარი საქმიანობის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პოზიტიური სასწავლო გარემო

- მოსწავლეებთან (სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან), ურთიერთობისას პასუხისმგებლობით უდგება მათ ფსიქოლოგიურ-ასაკობრივ თავისებურებებს და ავლენს ემპათიას სოციუმის ყველა წევრის მიმართ;
- კლასში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემოს პრინციპებს ავრცელებს მთელ სასკოლო საზოგადოებასთან, თემთან ურთიერთობისას;
- აღიარებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაცი ის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო, კონფლიქტებისგან თავისუფალ, აკადემიური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნისთვის.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

- გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს;
- მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემთან ურთიერთობის დროს იცავს ეთიკის ნორმებს;
- პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
- აორგანიზებს და ატარებს მუსიკის გაკვეთილს მუსიკალურ-თეორიული, ისტორიული, მუსიკალური ფოლკლორისა და/ან საშემსრულებლო შემოქმედებითი მიმართულებით;
- მუდმივად ეცნობა სფეროში არსებულ სიახლეებს და ეყრდნობა ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას.

პროფესიულ განვითარება

- დამოუკიდებლად გეგმავს მომავალი სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებებს;
- დამოუკიდებლად აგროვებს ახალ მონაცემებს, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ახდენს მათ ინტერპრეტაციას სამუსიკო პედაგოგიკის დარგის საბაზისო მეთოდების გამოყენებით;

	• საქმიანობით განსაზღვრულ ლიდერის თვისებებს (ანსამბლის ხელმძღვანელობა, შემოქმედებით აქტივობების წარმართვა) განიმტკიცებს თვითგანვითარების გზით; მიმართავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სასკოლო პრაქტიკას.

სწავლება-სწავლის მეთოდები	• ჯგუფური და პრაქტიკული მეცადინეობა/პედაგოგიური სემინარები (ღია გაკვეთილები, მასტერ-კლასები, ვორკშოპები); • დემონსტრირების მეთოდი; • ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • სტუდიური-რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის პრაქტიკულ-შემოქმედებით პროექტებში/კონცერტებში/სხვადასხვ ღონისძიებებში მონაწილეობა; • სწავლება პროფესიულ გარემოში (აქტიური და პასიური სასკოლო პრაქტიკა); • პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების ანალიზი; • წიგნზე/ნოტებზე, მულტიმედიურ საშუალებებზე მუშაობის მეთოდი; • სხვადასხვა სახის დიდაქტიკური სისტემების ანალიზი; • წერითი მუშაობის მეთოდი: სხვადასხვა წერითი დავალებების შესრულება, მასალის დაკონსპექტება, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.; • პროფესიული პედაგოგიური უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით პროგრამაზე ჩარიცხული პირის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა; • როლური თამაში; • შემთხვევის ანალიზი; • პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება-წარმართვა; • პროექტებზე/პრობლემაზე/აღგილზე ორიენტირებული სწავლება (PBL); • კეთებით სწავლება და სხვა.

შეფასების სისტემა	პროგრამაზე ჩარიცხული პირის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91_100	A	ფრიადი
81–90	B	ძალიანკარგი
71_80	C	კარგი
61_70	D	დამაკმაყოფილებელი
51_60	E	საკმარისი
41–50	FX	ვერჩააბარა
0_ 40	F	ჩაიჭრა

პროგრამაზე ჩარიცხული პირის შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, თსკ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად:
მისი ცოდნის შეფასება ხორციელდება ყოველ სემესტრში და გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუასემესტრული/მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. სემესტრული შეფასება მიიღება შუასემესტრული/მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების გზით.

სასწავლო კურსში (საგანში) კრედიტის მოსაპოვებლად პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა უნდა დააგროვოს ქულათა ჯამური ოდენობა 51-დან 100-მდე;

სილაბუსით განსაზღვრული შეფასების თითოეულ კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომელსაც: სილაბუსით გათვალისწინებულ შემოწმების ფორმებში ჯამურად დაგროვილი აქვს ქულათა შესაძლო მაქსიმუმის ნახევარი. აკმაყოფილებს გამოცდაზე დაშვების დამატებით წინაპირობებს, რომლებიც მითითებულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესრულებული აქვს დისციპლინური მოთხოვნები (დასწრების კომპონენტი). დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ჩაითვლება დადგენილი მაქსიმუმის ნახევარზე მეტი. უარყოფითი შეფასება დაჯამებას არ ექვემდებარება.

41-50 ქულის სემესტრული ჯამური შეფასების პირობებში იგი ვერ იღებს კრედიტს, მაგრამ ეძლევა უფლება გადააბაროს გამოცდა სასწავლო დისციპლინის გამეორების გარეშე მიმდინარე სემესტრში, დადგენილ ვადებში. თუ პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულათა ჯამი არ აღემატება 40 ქულას, იგი ვალდებულია გაიმეოროს კურსი და დავალიანება დაფაროს დადგენილი წესის მიხედვით.

მუსიკის მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

დასაქმების სფეროები	• სკოლის გარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებები • ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (საჯარო და კერძო) • აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები • საგანმანათლებლო რესურსცენტრები
სწავლის საფასური	2250 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაზე ჩარიცხული პირებისთვის გამოიყენება შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი, კერძოდ: • კომპიუტერებით, როიალებით და აუდიოსისტემით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; • სარეპეტიციო აუდიტორიები; • საკონცერტო დარბაზები; • სასწავლო სტუდიები; • სასკოლო-მუსიკალური ინსტრუმენტები. ორგანიზაციის ბალანსზე არსებული მუსიკალური ინსტრუმენტები, ემსახურება კონსერვატორიის მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, რომლებსაც ახორციელებს კონსერვატორია. შენობა-ნაგებობანი: მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კონსერვატორიის არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ- ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები. შენობები სრულად პასუხობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები. ბიბლიოთეკა: კონსერვატორიის ბიბლიოთეკა მოიცავს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ შესაბამის ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსს. კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის

შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამაზე ჩარიცხული პირთათვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, ინტერნეტი და საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე წვდომა) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე – აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები, მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, კონსერვატორია იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

პროგრამაზე ჩარიცხული პირები პედაგოგიურ პრაქტიკას გაივლიან კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში, სსიპ – ქ. თბილისის N79 საჯარო სკოლაში, ევგენი მიქელაძის სახელობის. ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი და შპს. მწვანე სკოლა-საბურთალო, მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი: პროგრამის პერსონალის შერჩევა ხორციელდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი: პროგრამის

	განხორციელებაში ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური პერსონალი: 1 პროფესორი, 2 ასოც. პროფესორი და 10 მოწვეული მასწავლებლებელი და დამხმარე პერსონალი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	იხ. დანართი (N3)
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია: პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ინიცირებული, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების და პროგრამაზე ჩარიცხული პირების გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასების, ასევე შიდა და გარე შეფასების შედეგად მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში – მოდიფიცირებას.